

შპს კარტლის აგროსისტემების
ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	-2-
2. ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	-6-
2.2 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება	-7-
2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	-8-
2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	-9-
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	-10-

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კარტლის აგროსისტემების დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს კარტლის აგროსისტემების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს კარტლის აგროსისტემების ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს კარტლის აგროსისტემებისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს კარტლის აგროსისტემების ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს კარტლის აგროსისტემების ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს კარტლის აგროსისტემების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს კარტლის აგროსისტემების შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს კარტლის აგროსისტემების ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს კარტლის აგროსისტემები უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ,

აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე. (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახოზაძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კარტლის აგროსისტემების დამფუძნებლებს
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
მოსაზრება

ჩავატარეთ შპს კარტლის აგროსისტემების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს კარტლის აგროსისტემების ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს კარტლის აგროსისტემებისაგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს კარტლის აგროსისტემების ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს კარტლის აგროსისტემების ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს კარტლის აგროსისტემების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა,

რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგებოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს კარტლის აგროსისტემების შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს კარტლის აგროსისტემების ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს კარტლის აგროსისტემები უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ

კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტო, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე.

(აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო

რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახოზაძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი 28.09.2023 წ

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“



[Handwritten signature]

შპს კარტლის აგროსისტემების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

		2022 წელ	2021 წელ
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	15,600	82,243
მოთხოვნები მიწოდებიდან		3,643,087	2,838,598
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	18,740,277	12,791,090
სხვა მიმდინარე აქტივები		226,689	204,379
წინასწარ გაწეული ხარჯი		114,429	11,424
სულ მიმდინარე აქტივები		22,740,082	15,927,734
ძირითადი საშუალებები	5	1,362,292	1,063,984
არამატერიალური აქტივები	6	187,341	27,990
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,549,633	1,091,974
სულ აქტივები		24,289,715	17,019,708
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		6,617,923	1,823,446
მიღებული ავანსები		1,575,347	1,410
საგადასახადო ვალდებულებები		122,325	172,584
მოკლევადიანი სესხი		11,093,979	12,590,995
მიმდინარე ვალდებულებები		19,409,575	14,588,435
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		19,409,574	14,588,435
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		4,686,796	2,237,928
გადაფასების რეზერვი		191,345	191,345
მთლიანი კაპიტალი		4,880,141	2,431,273
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		24,289,715	17,019,708

შპს კარტლის აგროსისტემების

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

_____ **რობერტ რევია**

_____ **მაია თარგამაძე**

შპს კარტლის აგროსისტემების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

		2022 წელს	2021 წელს
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	15,600	82,243
მოთხოვნები მიწოდებიდან		3,643,087	2,838,598
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	18,740,277	12,791,090
სხვა მიმდინარე აქტივები		226,689	204,379
წინასწარ გაწეული ხარჯი		114,429	11,424
სულ მიმდინარე აქტივები		22,740,082	15,927,734
ძირითადი საშუალებები	5	1,362,292	1,063,984
არამატერიალური აქტივები	6	187,341	27,990
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,549,633	1,091,974
სულ აქტივები		24,289,715	17,019,708
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		6,617,923	1,823,446
მიღებული ავანსები		1,575,347	1,410
საგადასახადო ვალდებულებები		122,325	172,584
მოკლევადიანი სესხი		11,093,979	12,590,995
მიმდინარე ვალდებულებები		19,409,575	14,588,435
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		19,409,574	14,588,435
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		4,686,796	2,237,928
გადაფასების რეზერვი		191,345	191,345
მთლიანი კაპიტალი		4,880,141	2,431,273
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		24,289,715	17,019,708

შპს კარტლის აგროსისტემების

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

რობერტ რევიძა

მაია თარგამაძე



შპს კარტლის აგროსისტემების სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	27,535,139	27,896,629
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-18,954,719	-20,261,098
Gross profit	8,580,420	7,635,531
ხელფასის ხარჯი	-2,043,348	-1,752,196
მიწოდების ხარჯი	-459,515	-332,542
საიჯარო ქირა	-707,937	-491,486
კომუნალური ხარჯი	-44,575	-35,800
ბუღალტრული და საკონსულტაციო ხარჯი	-101,695	-107,800
აუდიტის ხარჯი	-23,729	-23,729
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯი	-213,043	-198,756
ცვეთის ხარჯი	-240,805	-220,009
სხვა ხარჯები	-490,117	-604,550
უიმედო დებიტორების ხარჯები	0	-76,978
საექვო დებიტორების რეზერვი	-169,251	-365,369
EBITDA	4,086,405	3,426,316
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	-470,933	-359,440
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	2,411,668	1,438,477
სხვა არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავლები	-402,452	-559,737
Net profit	5,624,688	3,945,616
მოგების გადასახადი	0	0
Net profit	5,624,688	3,945,616

შპს კარტლის აგროსისტემების

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

_____ რობერტ რევია

_____ მაია თარგამაძე

შპს კარტლის აგროსისტემების სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	27,535,139	27,896,629
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-18,954,719	-20,261,098
Gross profit	8,580,420	7,635,531
ხელფასის ხარჯი	-2,043,348	-1,752,196
მიწოდების ხარჯი	-459,515	-332,542
საიჯარო ქირა	-707,937	-491,486
კომუნალური ხარჯი	-44,575	-35,800
ბუღალტრული და საკონსულტაციო ხარჯი	-101,695	-107,800
აუდიტის ხარჯი	-23,729	-23,729
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯი	-213,043	-198,756
ცვეთის ხარჯი	-240,805	-220,009
სხვა ხარჯები	-490,117	-604,550
უიმედო დებიტორების ხარჯები	0	-76,978
საეჭვო დებიტორების რეზერვი	-169,251	-365,369
EBITDA	4,086,405	3,426,316
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	-470,933	-359,440
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	2,411,668	1,438,477
სხვა არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავლები	-402,452	-559,737
Net profit	5,624,688	3,945,616
მოგების გადასახადი	0	0
Net profit	5,624,688	3,945,616

შპს კარტლის აგროსისტემების

დირექტორი
რობერტ რევია



მთავარი ბუღალტერი
მაია თარგამაძე

**შპს კარტლის აგროსისტემების ფულადი სახსრების მოძრაობის
ინდივიდუალური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(თანხები მოცემულია ლარში)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,831,192	39,883
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	30,277,043	29,468,092
მიმწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-21,590,267	-26,056,648
გადახდილი ხელფასები	-1,776,520	-1,534,160
გადახდილი გადასახადი	-2,079,063	-1,837,402
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-597,262	-443,683
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	-597,262	-443,683
სესხის გაცემა		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-4,167,165	534,626
კაპიტალის ზრდა		
სესხის დაფარვა	-40,438,051	-43,011,285
სესხის აღება	39,844,379	44,016,163
გადახდილი პროცენტი	-397,674	-470,335
სხვა შემოსულობები		83
გადახდილი დივიდენდი	-3,175,820	
სავალუტო კურსის ეფექტი	-133,408	-80,931
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-66,643	49,894
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	82,243	32,349
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15,600	82,243

შპს კარტლის აგროსისტემების

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

_____ **რობერტ რევია**


_____ **მაია თარგამაძე**


**შპს კარტლის აგროსისტემების ფულადი სახსრების მოძრაობის
ინდივიდუალური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(თანხები მოცემულია ლარში)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,831,192	39,883
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	30,277,043	29,468,092
მიმწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-21,590,267	-26,056,648
გადახდილი ხელფასები	-1,776,520	-1,534,160
გადახდილი გადასახადი	-2,079,063	-1,837,402
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-597,262	-443,683
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	-597,262	-443,683
სესხის გაცემა		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-4,167,165	534,626
კაპიტალის ზრდა		
სესხის დაფარვა	-40,438,051	-43,011,285
სესხის აღება	39,844,379	44,016,163
გადახდილი პროცენტი	-397,674	-470,335
სხვა შემოსულობები		83
გადახდილი დივიდენდი	-3,175,820	
სავალუტო კურსის ეფექტი	-133,408	-80,931
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-66,643	49,894
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	82,243	32,349
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15,600	82,243

შპს კარტლის აგროსისტემების

დირექტორი

რობერტ რევია

მთავარი ბუღალტერი

მაია თარგამაძე



**შპს კარტლის აგროსისტემები კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
31-Dec-18	2,000	324,843	50,358	377,201
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		1,181,526	140,987	1,322,513
გადახდილი დივიდენდი		-1,225,616		-1,225,616
31-Dec-19	2,000	280,753	191,345	474,098
შენატანები კაპიტალში				
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		333,084		333,084
გადახდილი დივიდენდი		-315,249		-315,250
31-Dec-20	2,000	298,588	191,345	491,932
შენატანები კაპიტალში				
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		3,945,616		3,945,616
გადახდილი დივიდენდი		-2,006,276		-2,006,276
31-Dec-21	2,000	2,237,928	191,345	2,431,273
შენატანები კაპიტალში				
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		5,624,688		
გადახდილი დივიდენდი		-3,175,820		
31-Dec-22	2,000	4,686,796	191,345	4,880,141

შპს კარტლის აგროსისტემების

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

_____ **რობერტ რევია**

_____ **მანია თარგამაძე**

**შპს კარტლის აგროსისტემები კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
31-Dec-18	2,000	324,843	50,358	377,201
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		1,181,526	140,987	1,322,513
გადახდილი დივიდენდი		-1,225,616		-1,225,616
31-Dec-19	2,000	280,753	191,345	474,098
შენატანები კაპიტალში				
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		333,084		333,084
გადახდილი დივიდენდი		-315,249		-315,250
31-Dec-20	2,000	298,588	191,345	491,932
შენატანები კაპიტალში				
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		3,945,616		3,945,616
გადახდილი დივიდენდი		-2,006,276		-2,006,276
31-Dec-21	2,000	2,237,928	191,345	2,431,273
შენატანები კაპიტალში				
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		5,624,688		
გადახდილი დივიდენდი		-3,175,820		
31-Dec-22	2,000	4,686,796	191,345	4,880,141

შპს კარტლის აგროსისტემების

დირექტორი

რობერტ რეზია

მთავარი ბუღალტერი

მაია თარგამაძე



1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს კარტლის აგროსისტემები (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კოსტავას 75გ.

შპს კარტლის აგროსისტემების საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მინერალური სასუქებითა და აგროქიმიური პროდუქტებით, საცალო ვაჭრობა ბოსტნეულის თესვებით, სასუქებითა და სხვა.

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანიის დამფუძნებელი არის:

შპა კარტლის მენეჯმენტი (ს/ნ 205100326) - 100% იანი წილის მფლობელი

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში

შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2 ძირითადი საშუალებები

3.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20-30 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	20 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	15 წელი

3.2.2 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

3.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

3.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

3.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

3.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

4. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძველად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	ტრანსპორტი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,120	64,864	52,712	114,879	241,957	201,161	676,693
შესყიდვები		140,987	12,428	72,484	184,605	52,825	463,329
რეალიზაცია/გასვლა			12,125	34,855	123,155	450	170,585
31 დეკემბერი 2019 ცვეთა		3,613	9,298	36,210	65,313	36,041	150,475
31 დეკემბერი 2019 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,120	202,238	43,717	116,298	238,094	217,495	818,962
შესყიდვები				29,586	128,326	61,544	219,456
რეალიზაცია/გასვლა				2,916	67,818	35,968	106,702
31 დეკემბერი 2020 ცვეთა		7,897	8,446	19,512	34,873	40,070	110,798
31 დეკემბერი 2020 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,120	194,341	35,271	123,456	263,729	203,001	820,918
შესყიდვები			3,220	33,599	383,867	60,122	480,809
რეალიზაცია/გასვლა				273	15,057	11,174	26,504
31 დეკემბერი 2021 ცვეთა		7,898	7,884	41,120	104,187	50,149	211,239
31 დეკემბერი 2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,120	186,443	30,607	115,662	528,352	201,800	1,063,984
შესყიდვები			0	43,594	506,068	47,600	597,262
რეალიზაცია/გასვლა			0	406	56,365	7,865	64,635
31 დეკემბერი 2021 ცვეთა		7,898	7,278	42,465	124,290	52,386	234,318
31 დეკემბერი 2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,120	178,546	23,328	116,385	853,764	189,149	1,362,292

6. არამატერიალური აქტივები

31 დეკემბერი 2019 წმინდა საბალანსო ღირებულება	49 672
შესყიდვები	811
რეალიზებული/გასული	0
31 დეკემბერი 2020 აკუმულირებული ცვეთა	13 087
31 დეკემბერი 2020 წმინდა საბალანსო ღირებულება	37 396
შესყიდვები	2 000
რეალიზებული აქტივი	

31 დეკემბერი 2021 აკუმულირებული ცვლათა	11 406
31 დეკემბერი 2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	27 990
შესყიდვები	170 253
რეალიზებული/გასული აქტივი	
31 დეკემბერი 2021 აკუმულირებული ცვლათა	10 902
31 დეკემბერი 2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	187 341

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, სასაწყობო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან სასაქონლო ნიშნის ღირებულებისგან.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021 წელი	2021 წელი
ნაღდი ფული საღაროში	1,601	24,776
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,601	24,776
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	13,999	57,467
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	13,676	57,079
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	323	388
სულ	15,600	82,243

8. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022 წელი	2021 წელი
საქონელი	18,680,959	12,737,246
ნედლეული და მასალები	23,695	19,927
სხვა მარაგები	35,624	33,917
სულ	18,740,278	12,791,091

9. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით. ფიქსირებული განაკვეთი დამოკიდებულია შრომით

ბაზარზე არსებულ კვალიფიკაციის შესაბამის ანაზღაურებასა და კომპანიაში სამუშაო სტაჟზე.

9. ურთიერთდამოკიდებული პირები

კომპანიას გააჩნია შემდეგი ურთიერთდამოკიდებული პირები, რომელთანაც განხორციელებულია ტრანზაქციები და ერიცხება შემდეგი ნაშთები:

შპს კარტლის მენეჯმენტი ს/ნ 205100326 არის დამფუძნებელი

შპს კარტლის პროდაქშენი ს/ნ 404883578 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 972 920,00 ლარი, 31.12.2021 - 875 629,00 ლარი, 31.12.2022 - 875 629,00 ლარი.

შპს აგროალიანსი ვარდისუბანი ს/ნ 233147680 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 368 311,00 ლარი, 31.12.2021 - 0,00 ლარი, 31.12.2022 - 0 ლარი.

შპს აგროალიანსი ს/ნ 205160993 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 12 345,00 ლარი, 31.12.2021 - 12 345,00 ლარი, 31.12.2022 - 12 345,00 ლარი.

შპს აგროალიანსი ნახიდური ს/ნ 225398307 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 405 511 ლარი, 31.12.2021 - 243 307 ლარი, 31.12.2022 - 405 511 ლარი.

შპს აგროალიანსი წნორი ს/ნ 240420549 ჰყავთ საერთო პარტნიორი

შპს გეოლინკსი ს/ნ 202214683 ჰყავთ საერთო პარტნიორი

შპს აგროუ ს/ნ 205192548 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 258 934 ლარი, 31.12.2021 - 154 294 ლარი, 31.12.2022 - 154 294 ლარი.

შპს კარტლი ს აგროტექსი ს/ნ 404917462 ჰყავთ საერთო პარტნიორი

კრედიტორული დავალიანება 31.12.2020 - 1 376 ლარი, 31.12.2021 - 1 376 ლარი, 31.12.2022 - 1 376 ლარი.

შპს კარტლის აგროსისტემების დირექტორი:

რობერტ რევია -----

გაზარზე არსებულ კვალიფიკაციის შესაბამის ანაზღაურებასა და კომპანიაში სამუშაო სტაჟზე.

9. ურთიერთდამოკიდებული პირები

კომპანიას გააჩნია შემდეგი ურთიერთდამოკიდებული პირები, რომელთანაც განხორციელებულია ტრანზაქციები და ერიცხება შემდეგი ნაშთები:

შპს კარტლის მენეჯმენტი ს/ნ 205100326 არის დამფუძნებელი

შპს კარტლის პროდაქშენი ს/ნ 404883578 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 972 920,00 ლარი, 31.12.2021 - 875 629,00 ლარი, 31.12.2022 - 875 629,00 ლარი.

შპს აგროალიანსი ვარდისუბანი ს/ნ 233147680 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 368 311,00 ლარი, 31.12.2021 - 0,00 ლარი, 31.12.2022 - 0 ლარი.

შპს აგროალიანსი ს/ნ 205160993 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 12 345,00 ლარი, 31.12.2021 - 12 345,00 ლარი, 31.12.2022 - 12 345,00 ლარი.

შპს აგროალიანსი ნახიდური ს/ნ 225398307 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 405 511 ლარი, 31.12.2021 - 243 307 ლარი, 31.12.2022 - 405 511 ლარი.

შპს აგროალიანსი წნორი ს/ნ 240420549 ჰყავთ საერთო პარტნიორი

შპს გეოლინკსი ს/ნ 202214683 ჰყავთ საერთო პარტნიორი

შპს აგროუ ს/ნ 205192548 ჰყავთ საერთო პარტნიორი

დებიტორული დავალიანება 31.12.2020 - 258 934 ლარი, 31.12.2021 - 154 294 ლარი, 31.12.2022 - 154 294 ლარი.

შპს კარტლი ს აგროტექსი ს/ნ 404917462 ჰყავთ საერთო პარტნიორი

კრედიტორული დავალიანება 31.12.2020 - 1 376 ლარი, 31.12.2021 - 1 376 ლარი, 31.12.2022 - 1 376 ლარი.

შპს კარტლის აგროსისტემების დირექტორი:

რობერტ რევია



მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „კარტლის აგროსისტემები“ დაფუძნებულია შპს „კარტლის მენეჯმენტი“-ს მიერ, რომლის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს ჰოლდინგური საქმიანობა, საქართველოში და სხვადასხვა ქვეყნებში ოფისებისა და სავაჭრო ქსელების დაარსება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეძენა. კომპანიის ძირითადი აქცენტი გადატანილია მისი შვილობილი კომპანიის გამართული და შეუფერხებელი მუშაობის ორგანიზებაში. იგი ახორციელებს შვილობილი კომპანიისათვის სერვის ცენტრებით უზრუნველყოფას, საბუღალტრო და ფინანსური მომსახურების გაწევას. ინვესტირებას აკეთებს რა სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენაში (მის ბალანსზე უკვე 603 ჰა სასოფლო-სამეურნეო და 31361 კვმ არასასოფლო-სამეურნეო მიწაა აღრიცხული). იგი ამით ეხმარება თავის შვილობილ კომპანიას, რათა მან შეძლოს ახალი ჯიშებისა და პრეპარატების გამოცდა.

დამფუძნებელმა კომპანიამ- შპს „კარტლის მენეჯმენტი“-მა გადაწყვიტა მის მიერ დაფუძნებული კომპანია შპს „კარტლის აგროსისტემები“-ს ბაზაზე ფოკუსირება გააკეთოს მცენარეთა დაცვის საშუალებების, სათესლე მასალებისა და სასუქების იმპორტსა და გაყიდვაზე, აგრეთვე მცენარეთა დაცვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვაზე.

ვინაიდან აღნიშნული ამოცანის შესრულება მოითხოვს კადრების გადამზადებას, ფინანსური რესურსების მობილიზებას და სრული ადამიანური თუ ფინანსური რესურსების ჩართულობას, დამფუძნებლების მერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მისი შვილობილი კომპანიებიდან შპს „კარტლის პროდაქშენი“-ს საქმიანობა (სასოფლო-სამეურნეო ერთწლიანი კულტურების მოყვანა) დროებით იქნას შეჩერებული, ხოლო საწარმოები, სახელდობრ: შპს „კარტლის აგროტექსი“, შპს „აგროალიანსი“, შპს „აგროალიანსი ნახიდური“, შპს „აგროალიანსი ვარდისუბანი“, შპს „აგროუ“, შპს „გეოლინკსი“, შპს „აგროალიანსი წნორი“-ის საქმიანობა ექვსი წლის წინათ იქნა გაჩერებული.

ზემოთ აღნიშნული კომპანიების საქმიანობის გაჩერების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ლარის კურსის მუდმივი რყევა, იმდენად რამდენადაც ჩვენ ვართ იმპორტიორი კომპანია, ასევე სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პრობლემები, მშ ადგილობრივი წარმოების ს.მ. პროდუქტის გასაღების არასტაბილური ბაზარი და საბაზრო ფასის არაპროგნოზირებადი ფასი.

კომპანია „კარტლის აგროსისტემები“ ქართულ ბაზარზე 24 წელზე მეტია მოღვაწეობს და მომხმარებელს მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების, სათესლე მასალისა და სარწყავის სისტემების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს. კომპანიის მომწოდებლები არიან მსოფლიო ლიდერები აგრობიზნესში - ამერიკული, იაპონური და ევროპული კორპორაციები: სათესლე მასალის - PIONEER, ENZA ZADEN, BEJO ZADEN; მცენარეთა დაცვის საშუალებები - DuPont, MITSUI, NUFARM; სასუქები: TIMAC AGRO, LIMA; სარწყავის სისტემები - JAIN.

საქართველოს ბაზარზე ჩვენს მიერ იმპორტირებული საქონელი საკმაოდ მოთხოვნადია, რადგანაც შემოგვაქვს უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, ფერმერებიც დაინტერესებულნი არიან მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღებისა და მოსავლიანობის გაზრდაში, რომლის მიღება შეიძლება მხოლოდ ხარისხიანი სათესლე მასალების, პესტიციდების, ჰერბიციდების, სასუქებისა და სარწყავი სისტემების გამოყენებით.

ქვეყანაში ლარის კურსის არასტაბილურობის გამო, კომპანიის დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება საქონელი გაიყიდოს როგორც ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე მიკროსაფინანსო და საბანკო სისტემის მონაწილეობით, ზოგადად კი მუდმივად იზრუნოს ეფექტური მენეჯმენტის განხორციელებაზე



კომპანია თავის თანამშრომლებს ყველაზე დიდ აქტივად მიიჩნევს. პერსონალის მართვის სისტემა აგებულია სამართლიანობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და ხელმძღვანელობასთან ღია დიალოგის პრინციპებზე. ჩვენი საკადრო პოლიტიკა მოიცავს ნიჭიერი და საქმის კეთებისათვის მოტივირებული თანამშრომლების მოძიებასა და შენარჩუნებას, მათ სწავლებას ყოველდღიური მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით. ჩვენ ვახორციელებთ პერიოდულ შეხვედრა-სემინარებს, რომელიც

ასწავლის და შემდეგ უზრუნველყოფს უკუკავშირის თანამშრომლების მხრიდან, მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით.

შპს „კარტლის აგროსისტემები“ დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, მ. შ.

- სამეცნიერო კონსულტანტი (დოქტორის ხარისხის მფლობელი) – 2 კაცი
- კონსულტანტ-აგრონომი - 4 კაცი
- შეკვეთების მართვის მენეჯერი - 1 კაცი
- ტერიტორიული გაყიდვების მენეჯერი - 6 კაცი
- პროდუქტ მენეჯერი - 3 კაცი (აქედან 2 დოქტორის ხარისხის მფლობელი)
- ბოსტნეულის თესლების რეგიონალური მენეჯერი -1 კაცი
- სარწყავი სისტემების მონტაჟის სპეციალისტი - 5 კაცი
- ბუღალტერი - 5 კაცი
- ადმინისტრაციული პერსონალი - 5 კაცი
- სამეცნიერო კვლევითი მუშაკი--1 კაცი
- პიარ- მენეჯერი -1 კაცი
- იურისტი -1 კაცი
- კონსულტანტ-გამყიდველი -25 კაცი
- ლოჯისტიკის მენეჯერი - 1 კაცი
- კლიენტების მომსახურების მენეჯერი - 2 კაცი
- ბიოსტიმულატორებისა და სათესლე კარტოფილის პროდუქტ მენეჯერი - 1 კაცი
- სხვადასხვა - 41 კაცი

პარტნიორული კომპანიების დახმარებით „კარტლის აგროსისტემები“-მა დაწერა თანამედროვე ევროპული და ამერიკული სტანდარტები და 2011 წელს ამ დარგში პრესტიჟული ჯილდოს ENVIRONMENTAL RESPECT AWARD-ის მფლობელი გახდა. დაჯილდოების ცერემონიალი ქ. ვაშინგტონის, აშშ-ს კონგრესის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის შენობაში გაიმართა, სადაც მაღალის ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით ბიზნესის წარმოებისთვის კომპანიას გადაეცა სპეციალური ჯილდო, როგორც პესტიციდების დისტრიბუტორი საუკეთესო კომპანია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

ცხადია ამ წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი კომპანიის დასაქმებული პერსონალია. გამოცდილი და კვალიფიციური კადრები კომპანიის მთავარი მონაპოვარია. კომპანია დღეისთვის 105 ადამიანი მუშაობს, მათ შორის ოთხი თანამშრომელი დოქტორის ხარისხის მფლობელია. „კარტლის აგროსისტემები“-ს ყველა სპეციალისტს აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან მუშაობის არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული გამოცდილება. სისტემატიურად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებლად სემინარები ცნობილი ევროპელი, ამერიკელი და იაპონელი მეცნიერებისა და დარგის სპეციალისტების დახმარებით.

შპს „კარტლის აგროსისტემები“-ს პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები არიან პროფესიონალი ფერმერები, რომელთა შემოსავლის წყარო წარმოადგენს მათ მიერ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია. სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ კომპანიის კლიენტები იყვნენ კონკურენტუნარიანი, არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ბაზართან მიმართებაშიც, „კარტლის აგროსისტემები“ დაკავებულია მსოფლიოში არსებული უახლესი, პროგრესული ტექნოლოგიების მოძებნა-შესწავლით, ადგილობრივ პირობებისათვის მორგებით და მათთან კონტაქტში მყოფი ფერმერებისათვის მიწოდებით. სწორედ თანამედროვე მიღწევებისა და ზოგადი ცოდნის ამაღლებისთვის კომპანიამ დაარსა აკადემია, სადაც ყველა მსურველი ფერმერი თუ დაინტერესებული პირი გადის ტრენინგს.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიების, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოცდა, შესაბამისი შედეგების საფუძველზე მათი სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარება და დანერგვა. კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებს.

კომპანია ეწევა აგრეთვე ჩვენი რეგიონისათვის შესაფერისი ბოსტნეულისა და მარცვლოვანი კულტურების ჯიშებისა და ჰიბრიდების მოძიებას, მათ პოპულარიზაციასა და დანერგვას. კომპანიის სკურპულოზური შრომის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სიმინდის, ხახვის, კარტოფილისა და ხორბლის მოსავლიანობა.

ბოლო წლებში კომპანიამ გააძლიერა მუშაობა თხილის მოყვანით დაკავებულ ფერმერებთან, რადგან ამ მეტად პრესტიჟული საექსპორტო კულტურის მოვლა-მოყვანა მიახლოებულ იქნას მსოფლიო სტანდარტებთან. შედეგად, ყველა იმ ფერმერმა, რომელმაც გაიარა „კარტლისის აკადემია“-ს კურსი და მიყვებოდნენ კომპანიის სპეციალისტების მიერ

შემუშავებულ ტექნოლოგიებს, მიიღეს საუკეთესო მოსავალი, მიუხედავად სოკოვანი დაავადებებისა და აღმოსავლური ფაროსანას აქტიურობის მაღალი ფონისა.

მაგალითი იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული კონცეფცია არ წარმოადგენს მხოლოდ ლიტონ სიტყვებს შეგვიძლია გამოვიყენოთ 2018-2022 წლების მონაცემები.

ამ პერიოდში განვახორციელეთ სავაჭრო ობიექტის გახსნა ზესტაფონში, რათა გაგვეთვალისწინებინა ზესტაფონის რ-ნში მცხოვრებ მევენახეთა მოთხოვ მათთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ჩვენი კომპანიის ასორტიმენტში არსებული პესტიციდები და აგროქიმიკატები. რომ იტყვიან შედეგმაც აქაც დააყოვნა, მაღაზიის ნავაჭრმა პირველ 3 წელიწადში მცირეფართიანი მევენახეობის რეგიონისთვის საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა.

კარგი შედეგებით დახურა პირველი სამი წელი საგარეჯოში გახსნილმა ობიექტმაც.

გაიხსნა კიდევ ორი სავაჭრო ობიექტი: ერთი ლაგოდეხის რ-ნის სოფელ ჭაბუკიანში, რათა უფრო ფართოდ მოგვეცვა ლაგოდეხის რ-ნი და მეორე თბილისში, დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა თბილისის მახლობლად მცხოვრებთათვის უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო ჩვენი კომპანიის პროდუქცია.

ასევე გაგრძელდა „კარტლისი“-ს სავაჭრო ქსელის გაფართოება შემდგომ პერიოდებში, კერძოდ დაემატა ცენტრები მარტვილში, წნორში, ამბროლაურში, თელავის რ-ნ სოფ. ვარდისუბანსა და ლაგოდეხის რ-ნ სოფ. ჭაბუკიანში, სავაჭრო ქსელს დაემატა სერვის ცენტრები ახალქალაქში, გურჯაანის რ-ნის სოფელ ვაჩნაძიანში და სამტრედიიაში.

ჩვენი მოღვაწეობის ახალ სფეროში, როგორიცაა კაკლის, ნუშის ბალები და მოცვის პლანტაციები Coda-ს სავაჭრო ნიშნით მიწოდებულმა სტიმულატორებმა შთამბეჭდავი შედეგები უჩვენა მომხმარებელს (ცნობისათვის ეს ახალი პროდუქტი, რომელიც აქამდე საქართველოს ბაზარზე უმნიშვნელოდ იყო წარმოდგენილი, გასულ წელს შევთავაზეთ მომხმარებელს. ეს პროდუქცია იწარმოება ესპანური კომპანია SAS-ის მიერ და ჩვენ ბაზარზე იყიდება Coda-ს სავაჭრო ნიშნით).

სწორედ ამან და ასევე ჩვენს მიერ დატრენინგებულმა თანამშრომლების მუდმივმა კონსულტაციებმა მოიზიდა მსხვილი კლიენტების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში ჩავატარეთ თანამედროვე მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოცდა და რეგისტრაცია, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალ წელს შევთავაზოთ ჩვენს ფერმერებს მსოფლიოში დღეისათვის არსებული უახლესი პრეპარატები.

ამ ახალი რეგისტრაციების მიზანია საქართველოში მოღვაწე ფერმერებს მივცეთ იმ უახლესი პროდუქციით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლითაც უკვე სარგებლობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფერმერები. ეს, გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს ჩვენს ფერმერებს მოსავლიანობისა და პროდუქციის ხარისხის ზრდაში, ასევე აუცილებელია ევროკავშირის ექსპორტირებული პროდუქციის წარმოებისთვის. საქმე იმაშია, რომ ევროპის ბაზარზე დაიშვება მხოლოდ ის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელთა მოყვანისას გამოყენებულია ევროკავშირში დარეგისტრირებული პესტიციდები.

2020- 2021 წლებში მიუხედავად პანდემიის გამო გამოწვეული სირთულეებისა და მკაცრი რეგულაციებისა, დაგრძელდა „კარტლისის აკადემიის“ ფუნქციონირება, რაც გამოიხატა მსმენელთა ინტერესის ზრდაში. 2020 წლიდან ამ პროექტში ჩაერთო და კარტლისის პარტნიორი გახდა ისეთი საერთაშორისო დონის ორგანიზაცია, როგორიც არის “DELPY INTERNATIONAL”. ეს ორგანიზაცია უკვე ათეული წლებია აერთიანებს თავის პლათფორმაზე დაახლოებით 170 მსოფლიო დონის ექსპერტს სოფლის მეურნეობის სფეროში, მათი პროგრამები და ტრენინგები ეხმარება მრავალი ქვეყნის ფერმერებს, რომ აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია და მიიღონ თანამედროვე გამოწვევებზე პასუხი. სემინარების ჩატარებაში 2020-2021 წლებში პანდემიის გამო ვერ იღებენ მონაწილეობას ჩვენი პარტნიორი კომპანიის მიერ გამოგზავნილი სპეციალისტები. ამავე მიზეზით გადაიდო უცხოელი კომპანიების წარმომადგენლების ჩართულობით დაგეგმილი სხვადასხვა სასწავლო თუ გაცნობითი საპრეზენტაციო სემინარები

მიუხედავად უარყოფითი მოლოდინებისა, 2021 წელი კომპანიისათვის აღმოჩნდა მაინც ერთგვარად წარმატებული, რის განმაპირობებელი იყო იმ სტრატეგიის სისწორე, რაც კომპანიის კომპანიის მენეჯმენტმა აირჩია წლის დასაწყისში პანდემიით გამოწვეული სირთულეების გათვალისწინების პირობებში.

წარმატებას ხელი შეუწყო წინა საანგარიშგებო წელში „კარტლისის აკადემია“-სა და „Delphy International“-ის ერთობლივი პროექტი „ხარისხიანი ნერგის წარმოების ხელშეწყობა“, რომელიც ქვეყანაში მოქმედ სანერგეებს მოამზადებს საერთაშორისო სერთიფიცირებისთვის, სრულფასოვნად ამოქმედებამ. ეს პროგრამა გათვლილია რამოდენიმე წელზე და მან უკვე გამოიწვია დიდი ინტერესი და გამოხმაურება. ერთობლივი მუშაობის შედეგად კომპანიამ შეძლო არამხოლოდ უფრო მეტი ფერმერის მოზიდვა, არამედ მათი კვალიფიკაციის ამაღლებაც, რამაც გაზარდა მოთხოვნა კომპანიის პროდუქციაზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მსოფლიოში ცნობილ ესპანურ ლაბორატორია - თან დაწყებული თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობამ არამარტო კომპანიის კლიენტებს, არამედ ნებისმიერ მსურველს მისცა შესაძლებლობა საკუთარ კულტურებში არამხოლოდ სტანდარტული კვლევების, არა,ედ ისეთი ქიმიურ-ბიოლოგიური კვლევების ჩატარებისა, რაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ხერხდება საქართველოში.

2021 წლის ერთ-ერთ წარმატებად მივიჩნევთ ასევე USAID ის სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მიღებულ გრანტს “ სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა“.

ამ გრანტის საშუალებით შემუშავებულ იქნება პროგრამა, რომელიც საშუალებას მისცემს კომპანიის თანამშრომლებს ოპერატიულად მოუშადათ ფერმერებს როგორც მათი კულტურების მოვლის სხვადასხვა სქემები, ისე ამ სქემის განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯების კალკულაცია. ცხადია ეს პროგრამა კიდევ უფრო გააფართოვებს ჩვენი კომპანიის მაღალკვალიფიციური მომხმარებლების წრეს და ყოველივე ეს აისახება მის ზრდაზე.

გასული 2022 წელი აღინიშნა წინა წლების კოვიდ შეზღუდვებით გამოწვეული პრობლემების საბოლოო დასრულებით. ისევ აღდგა ინტენსიური პიროვნული ვიზიტები როგორც ჩვენი პარტნიორი კომპანიების, ასევე სხვა მოწვეული სპეციალისტებისა. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა აღდგენილიყო სრულფასოვნად კარტლისის აკადემიის მუშაობა. შედეგად წლის მეორე ნახევარში ჩვენს მიერ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოში შეტანილ იქნა განაცხადი კარტლისის აკადემიის მოცვის, ვენახისა და ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. წლის ბოლოს ჩატარდა აკადემიის მუშაობის სრული შემოწმება-მონიტორინგი, რამაც წარმატებით ჩაიარა და მოგვცა იმედი, რომ შემდეგი წლიდან ზემოთ აღნიშნული პროექტები მიიღებენ სამწლიან აკრედიტაციას.

მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა მუშაობა არამარტო ახალი კლიენტების მოზიდვის, არამედ უკვე არსებული მომხმარებლებისათვის პრობლემების მაქსიმალურად ეფექტურად გადაჭრაში დახმარების კუთხით. სწორედ ამისათვის გასული 2022 წლის განმავლობაში გამოიცადა და დაინერგა რამოდენიმე კულტურაში თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები ჩვენი ესპანელი პარტნიორის, კომპანია “ SAS “-ის დახმარებით. შედეგი, რაც ამ პროცესებში ჩართულმა ფერმერებმა მიიღეს წლის ბოლოს, იყო უმაღლესი


ხარისხისა და 30-35% -ით გაზრდილი მოსავალი, და ეს მხოლოდ უმნიშვნელოდ გაზრდილი ხარჯების გაღებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კომპანია პიონერის ახალი ჰიბრიდების გამოცდა. საქმე იმაშია, რომ პიონერი ყოველწლიურად ათობით ახალ ჰიბრიდს უშვებს მსოფლიო ბაზარზე და საქართველოს გარემო პირობებისათვის საუკეთესოდ მორგებული ჰიბრიდების სწორი შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ჰიბრიდი ჩვენს მიერ არ იქნა სწორად შერჩეული, ამით ჩვენი კლიენტები არ ზარალდებიან, რადგანაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული გამოცდების გარეშე ჰიბრიდის გაყიდვა არ მოხდება. სწორედ ჩვენი კომპანიის სპეციალისტების მრავალწლიანი გამოცდილება გვეხმარება საცდელი ჰიბრიდების მეტ-ნაკლები სიზუსტით შერჩევაში.. საცდელი ჯიშებიდან 70-80% ერგება ჩვენს ბაზარს და სარგებლობს პოპულარობით.

წლევანდელი 2022 წლის გამოცდებიდან ცალკე გამოყოფის ღირსია ჰიბრიდი “P 1028”

ამ ჰიბრიდმა გამოცდებში გამოავლინა არამარტო საუკეთესო თვისებები სტრესული პირობების დაძლევაში, არამედ საუკეთესო ხარისხის მარცვალი მოგვცა. შედეგად ის ფერმერები, რომლების მონაწილეობდნენ გამოცდებში აღნიშნავდნენ, რომ მყიდველები მზად იყვნენ ზემოთ აღნიშნული ჰიბრიდის მარცვალში გადაეხადა იმ მომენტისათვის ბაზარზე არსებულ ფასზე მეტი.

შეიძლება იქთვას, რომ აღნიშნული ჰიბრიდი მრავალი წლით დაიმკვიდრებს თავს საქართველოს ბაზარზე, რაც არც ისე მარტივი საქმეა არამარტო პიონერის ახალი ჯიშებიდან გამოწვეული კონკურენციით, არამედ სხვა მრავალი სიმინდის თესლის მწარმოებელი კომპანიის მცდელობით- გაზარდონ თავიანთი გაყიდვები საქართველოში.



ყოველივე ზემოთ თქმული გვიჩვენებს, რომ კომპანია ნაბიჯ-ნაბიჯ განუხრელად მიჰყვება წლების წინ აღებულ კურსს, აფართოვებს და აახლებს თავის მოღვაწეობას რეგიონებში.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 27.5 მლნ ლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (27,9 მლნ ლარი) შედარებით შემცირებულია დაახლ 1.3 %-ით.

Gross profit 2020 წელს იყო დაახლოებით 31%, ეს მაჩვენებელი 2021 წელს შეადგენდა 27,4%-ს, ხოლო 2022 წ შეადგენს 31,2%-ს

EBITDA 2020 წელს შეადგენდა 3,9 მლნ ლარს, 2021 წელს კი შეადგენდა 3,4 მლნ ლარს, 2022 წელს შეადგენს დაახლ. 4,09 მლნ ლარს,

აქტივების ჯამური მოცულობა 2021 წლის ბოლოს შეადგენს 17 მლნ ლარს. 2022 წლის ბოლოს შეადგენს 24,3 მლნ ლარს, 2022 წელს წინა წელთან შედარებით აქტივების მოცულობა გაიზარდა 42,7 %- ით

ვალდებულებების ჯამური ოდენობა 2022 წლის ბოლოს შეადგენს 19მლნ 410 ათას ლარს, რაც გასული პერიოდის შესაბამის მონაცემთან, 14მლნ 588 ათას ლართან, შედარებით გაზრდილია 33%-ით.

კომპანიის წმინდა მოგება 2020 წელს შეადგინა დაახლ 333 თასი ლარი, 2021 წელს 3 მლნ 945 ათასი ლარი , ხოლო 2022წ კომპანიამ დაასრულა 5მლნ 625ათ ლარით

წმინდა მოგება (მილიონი ლარი)		საოპერაციო შემოსავალი (მილიონი ლარი)	
2017	0.8	2017	15.9
2018	1.3	2018	17.7
2019	1.2	2019	20.3
2020	0,33	2020	23,3
2021	3,9	2021	27,9
2022	5,6	2022	27,5
უკუგება საშუალო კაპიტალზე		უკუგება საშუალო აქტივებზე	
2017	95%	2017	8.2%
2018	83%	2018	2.4%
2019	91%	2019	9.1%
2020	68%	2020	2.0%
2021	162%	2021	23,2%
2022	115%	2022	23,1%
მთლიანი აქტივები (მილიონი ლარი)		მთლიანი ვალდებულებები (მილიონი ლარი)	
2017	11	2017	10

2018	13.7	2018	13.2
2019	13.0	2019	12.5
2020	16.7	2020	16.24
2021	17,02	2021	14,6
2022	24,3	2022	19,4

თანამშრომელთა რაოდენობის ცვლილება (ზრდა) გასულ წელთან შედარებით შეადგენს 1%-ს

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი: 2019წ -213, 2020წ-258, 2021წ -230, 2022წ - 361 ,
მიმდინარე აქტივების კოეფიცი-ტი: 2019წ - 0.97, 2020წ -0.98, 2021წ -1,1, 2022წ - 1,17

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრა

უკუგება საშუალო კაპიტალზე: კომპანიის წმინდა მოგების თანაფარდობა მის მთლიან კაპიტალთან.

უკუგება საშუალო აქტივებზე: კომპანიის წმინდა მოგების თანაფარდობა მის მთლიან აქტივებთან.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი: კომპანიის მარაგების ნაშთი წლის ბოლოს გაყოფილი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365 დღეზე.

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

რისკების მართვა

რისკები ზოგადად ნებისმიერი ბიზნესის თანმდევი მოვლენაა. კომპანიის ფუნქციონირებას და ზრდას რისკებს უქმნის ქვეყნის წინაშე არსებული რისკები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებელი ფერმერების ქცევაზე და მათ ინტერესზე. რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ძირითადი დამახასიათებელი რისკებია: საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკები, სავაჭრო და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები.

ამ რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით. კომპანიის რისკების მართვის პროცესები მოწმდება შიდა კონტროლის მიერ, რომელიც ამოწმებს როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ასევე პროცედურებთან შესაბამისობას.

თუმცა, რისკების მიმოხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ მსოფლიო პანდემიის “კოვიდ-19” -ს თემას, რომელმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა და სამომავლო პრობლემები შეუქმნა მსოფლიო ეკონომიკას. ამ ფონზე იმის გათვალისწინებით, რომ ლარის ინფლაციის დონე მაღალ ნიშნულზეა და ეროვნული ვალუტა ისევ აგრძელებს დევალვაციას, ასევე ის, რომ ქვეყანა და მ.შ ჩვენი კომპანია იმპორტდამოკიდებულია, ამიტომ აზრი, რომ ეკონომიკური კრიზისი კვლავ მნიშვნელოვნად დააზარალებს ქვეყნის ბიზნეს კლიმატს - არ არის საღ აზრს მოკლებული.

როგორც მოგეხსენებათ, 2021 წლის გაზაფხული ჩვენს ქვეყანაში, აღინიშნა რიგი შეზღუდვებით. ცხადია, ამან გავლენა იქონია ჩვენი კომპანიის მუშაობაზე, გადაადგილების შეზღუდვამ გამოიწვია კომპანიის კლიენტების რაოდენობის კლება, რაც გამოიხატა რეალიზაციის შემცირებაში. მიუხედავად ამისა, კომპანიამ შესძლო ამ რთული პერიოდის გადალახვა და 2022 წელს შედეგად მივიღეთ გასულ წლებთან შედარებით ბრუნვის გაზრდა.

ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა ამ სწორი სტრატეგიული კურსით სვლამ, რაც გააჩნია კომპანიას.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დამღევის ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესი, მ.შ ჩვენი კომპანია მაქსიმალურად შეეცადოს მოერგოს საჭირო, გარდაუვალ ცვლილებებს და შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა და ჩვენი გამოწვევა კი უფრო მეტია -- განვაგრძოთ ბიზნეს განვითარებაზე ზრუნვა.

გეგმები

შპს “კარტლის აგროსისტემები“ არის დინამიურად განვითარებადი კომპანია. ჩვენი კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს რელევანტურობა ამ მძიმე ბიზნეს კლიმატის გათვალისწინებით და ამისათვის გამოიყენოს სხვადასხვა მ. შ ციფრული ტექნოლოგიები - ვებ გვერდის დახმარებით ხელი შეუწყოს ონლაინ გაყიდვების გააქტიურებას, რაშიც ჩართავს ასევე კურიერულ მომსახურებას, რაც ვფიქრობთ დაეხმარება ჩვენი კომპანიის გაყიდვებს.

მომდევნო წლებში ვგეგმავთ გაყიდვის ობიექტების დამატებას, ამით კი გავზრდით მომხმარებლების კმაყოფილებასა და ლოიალურობას.

ქსელის გაზრდასთან ერთად გავაუმჯობესებთ სტრატეგიული მარკეტინგის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით: რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გაყიდვების სტიმულირება და სხვა. ჩვენი მიზანია არ არის მხოლოდ ახალი მომხმარებლების მოზიდვა, არამედ არსებული კლიენტების კმაყოფილება და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ჩვენი კომპანია მუდმივად ცდილობს ასორტიმენტის გაზრდას და გაუმჯობესებას.

კომპანია გეგმავს კიდევ უფრო ინტენსიური გახადოს ფერმერთა ინფორმირება შეთავაზებული სიახლეებით და მათი სარგებლიანობის, ასევე ეფექტური გამოყენების გარშემო ჩაატაროს კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები, რაც, როგორც განვლილმა

პერიოდმა გვიჩვენა, იძლევა მუდმივი და რაც მთავარია ეკონომიკურად გაძლიერებული კლიენტთა რაოდენობის სტაბილურ ზრდას.

ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ რა ღირებულება შევუქმნათ ფერმერ მომხმარებლებს და როგორ გავუმარტივოთ მათ ბიზნესის ოპერირება ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის ვცდილობთ მოვიძიოთ ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განვავითაროთ ისინი.

დირექტორი:

რ. რევია

სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

პერიოდმა გვიჩვენა, იძლევა მუდმივი და რაც მთავარია ეკონომიკურად გაძლიერებული კლიენტთა რაოდენობის სტაბილურ ზრდას.

ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ რა ღირებულება შევუქმნათ ფერმერ მომხმარებლებს და როგორ გავუმარტივოთ მათ ბიზნესის ოპერირება ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის ვცდილობთ მოვიძიოთ ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განვახორციელოთ ისინი.

დირექტორი:

რ. რევა

სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

